ოქმი #1

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, ი. კიღურაძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 27 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 14 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის განხილვა-შეფასება;
2. ინსტიტუტის დირექტორის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა-შეფასება;

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს წარუდგინა ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (ანგარიში განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე; https://rmi.tsu.ge/geo/angarishi/angarishi2024.pdf).

სამეცნიერო საბჭომ განიხილა ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში და წარედგინოს იგი თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა მის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის

ნ ი ნ ო ფ ა რ ც ვ ა ნ ი ა ს მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა) კონტროლს ვუწევდი ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.

ბ) შევიმუშავე და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგენე ინსტიტუტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი (ივლისი, 2024 წელი).

გ) განვახორციელე სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების ადმინისტრაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა, მხარს ვუჭერდი საკონკურსო პროცესებს (ოქტომბერი-დეკემბერი, 2024 წ.).

დ) ვესწრებოდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი მის მუშაობაში.

ე) მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩავატარეთ ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული თსუ-ს ბალანსზე რიცხული ქონების სრული ინვენტარიზაცია 01.10.2024 წლის მდგომარეობით (ოქტომბერი-დეკემბერი, 2024 წელი).

ვ) მხარს ვუჭერდი სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ (გამოდის 1937 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში, აქვს იმფაქტ-ფაქტორი), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ (გამოდის 1994 წლიდან, გამოსცემს DE GRUYITER, 2008 წლიდან აქვს იმფაქტ-ფაქტორი) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (გამოდის 1994 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში) - გამოსაცემად მომზადების პროცესს და დაბეჭდვას.

ზ) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის ორი საერთაშორისო ჟურნალის („ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ – 177-ე ტომის # 3, 178-ე ტომის # 1, და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 90-ე, 91-ე ტომები) უცხოეთის 30-მდე სამეცნიერო დაწესებულებასთან გაგზავნის პროცესს.

თ) ინსტიტუტში ჩავატარეთ (ვიყავი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) ტრადიციული საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში - QUALITDE-2024 (21-23 დეკემბერი, 2024 წელი, https://rmi.tsu.ge/eng/QUALITDE-2024/workshop-2024.htm). აღნიშნულ ვორკშოპში მონაწლეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 95-ზე მეტმა წარმომადგენელმა. მოხსენებათა კრებული (რომლის რედაქტორიც მე გახლავართ) გამოვაქვეყნეთ ელექტრონულად https://rmi.tsu.ge/eng/reports_of_QUALITDE.html (E ISSN 1512-3391).

ი) ხელს ვუწყობდი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ 2024 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა 40-ზე მეტი სამეცნიერო ვიზიტი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში და 10 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XIV საერთაშორისო კონფერენციაზე, ამათგან 9 ვიზიტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო ინსტიტუტის ბიუჯეტიდან (2 - უცხოეთში, 7 - ბათუმში).

კ) უზრუნველვყავი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება ინსტიტუტის 2024 წლის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.

ლ) ვასრულებდი და/ან ვხელმძღვანელობდი თსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებიდან მიღებულ სხვადასხვა დავალებებს.

ნინო ფარცვანია

2025 წლის 15 იანვარი